საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7-ში მდებარე 1 სასწავლო კორპუსის (ს/კ 01.10.15.007.166) მარჯვენა ფლიგელის შენობის ტექნიკური მდგომარეობა

თბილისი
2023 წ

შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფი

LTD GEORGIAN TECHNICAL GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი 200236707

Mob. 595991991, 595991999
595 22 23 45

E-mail: gtg200236707@gmail.com
georgiantechgroup@gmail.com

15 მაისი 2023 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7-ში მდებარე 1 სასწავლო კორპუსის (ს/კ 01.10.15.007.166) მარჯვენა ფლიგელის შენობის ტექნიკური მდგომარეობა

ექსპერტი: გ. ნოზაძე

თბილისი
2023 წ

1. ობიექტის მოკლე აღწერა

საკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ასათიანის ქ. N7 1 სასწავლო კორპუსი მარჯვენა ფლიგელი.

ობიექტი ხასიათდება შემდეგი კლიმატური ნორმატიული დატვირთვებით (პნ 01.05-08, პნ 01.01-09):

- თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა - 73 კგ/მ^2;
- სეისმური დატვირთვა - 8 ბალი.

2. შენობის ტექნიკური პასპორტი

N	დასახელება	დახასიათება
1	ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი, ასათიანის ქ. N7 1 სასწავლო კორპუსი მარჯვენა ფლიგელი
2	შედგენის თარიღი	მაისი 2023 წელი
3	შემდგენელი	შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“
4	ობიექტის დანიშნულება	სასწავლო კორპუსი
5	პროექტი	არ არის
6	სართულების რაოდენობა	7 სართული+ტექნიკური სართული
7	მესაკუთრის დასახელება	სსიპ *თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*
8	შენობის პასუხისმგებლობის კლასი	I
9	ექსპლუატაციაში მიღების წელი	გასული საუკუნის 70-იან წლებში
10	ობიექტის კონსტრუქციული	რკინაბეტონის კარკასი, აგურის და ბლოკის

	ტიპი	კედლებით
11	ობიექტის ფორმა გეგმაში	მართკუთხა ფორმის
12	პროექტის შედგენის წელი	არ არის ცნობილი
13	სარდაფი	გააჩნია
14	ობიექტის კონფიგურაცია სიმაღლეში	შენობა თანაბარი სიმაღლის-ბრტყელი სახურავით
15	ადრე განხორციელებული რეკონსტრუქცია და გამაგრება	ფიქსირდება ამოშენებული და გადაკეთებული კარის და ფანჯრის ღიობები, ტიხრების რეკონსტრუქცია, ფუძის გამაგრება ინექციით
16	ობიექტის სიმაღლე	28,6 მ
17	ობიექტის სიგრძე	45,65 მ
18	ობიექტის სიგანე	17,6 მ
19	ობიექტის სამშენებლო მოცულობა	22978 მ^3
20	მზიდი კონსტრუქციები	რკინაბეტონის საძირკვლები-ხიმიჯოვანი როსტვერკებზე, მზიდი რკინაბეტონის კარკასი, აგურის და სამშენბლო ბლოკის არამზიდი კედლები, სართულშუადა სასხვენო გადახურვის ღრუტანიანი რკინაბეტონის ფილა
21	საძირკვლები	რკინაბეტონის საძირკვლები-ხიმიჯოვანი როსტვერკებზე
22	კედლები	კედლები აშენებულია აგურისა და სამშენებლო ბლოკის წყობით, სისქით 40 მმ
23	სვეტები	რკინაბეტონის
24	სართულშუა და სასხვენო გადახურვა	ღრუტანიანი რკინაბეტონის ფილა
25	კოჭები	რკინაბეტონის კოჭები ეყრდნობა მზიდ რკინაბეტონის

		სვეტებს
26	პარაპეტი	გააჩნია
27	ბურულები	რბილი ბრტყელი სახურავი
28	ტიხრები	აგურის, ბლოკის
29	იატაკები	პარკეტი, მეტლახი
30	კიბეები	ასაწყობი რკინაბეტონის
31	ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის კატეგორია	შემოწმების მომენტში შენობის მზიდუნარიანობა დამაკმაყოფილებელია, აღინიშნება წერტილოვანი საძირკვლების არათანაბარი ჯდენა.
32	ობიექტის ფოტო	

სამშენებლო ნორმების (პნ 01.01-09) მუხლი 3-ის მე-14 პოზიციის მიხედვით არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან ძველი და დაზიანებული შენობა-ნაგებობის აღდგენა-გაძლიერების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სპეციალურად დამუშავებული პროექტის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სეისმომედეგობის მიყვანა საანგარიშო მნიშვნელობამდე, ანდა სეიმომედეგობის გარკვეული მნიშვნელობით გაზრდა.

საკვლევი შენობის სეიმომედეგობა გაანგარიშებულია 7 ბალიანი ზონისათვის, ამ ეტაპზე არ შეესაბამება სამშენებლო ნორმების (პნ 01.01-09) მოთხოვნებს.

შენობის მდგრადობის ამაღლების მიზნით უნდა დამუშავდეს შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამაგრების პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:

1. შენობის იმ ნაწილებში სადაც ხდება შენობის ჯდენა რეკომენდირებულია საძირკვლების გამაგრება ფილა საძირკველზე გადასმა;
2. კედლები შეილესოს მაღალი სიმტკიცის ქვიშაცემენტის ხსნარით, მოხდეს ბზარების შევსება;

დასკვნაში მოყვანილი გამაგრების მეთოდები სარეკომენდაციოა, აღნიშნულის დაზუსტება-გადაწყვეტა მოხდეს პროექტირების ეტაპზე, მშენებლობის ეტაპზე აღდგენილი და გამაგრებული უნდა იქნეს დამატებით აღმოჩენილი დაზიანებები.

შ.პ.ს "საქართველოს ტექნიკურ ჯგუფი"-ს
დირექტორი, კონსტრუქტორი, ექსპერტი /გ.ნოზაძე/